ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 595

"22" ნოემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

შპს „იქსორი წერეთელზე 2" -ის (ს/ნ. 405408820) მიმართ მისამართებზე -ქ. თბილისი, ბათუმის ქ. №11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „შპს „იქსორი წერეთელზე 2" -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. №11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №19-21 (საკადასტრო კოდი: №01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №23-25 (საკადასტრო კოდი: №01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დამატებითი/ დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 ნოემბრის №24.1969.2207 განკარგულების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმის №12-ის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „იქსორი წერეთელზე 2"-ის (ს/ნ. 405408820) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №23.1904.2103, 13.12.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული (განკარგულება №621, 19.12.2023) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. №11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №23-25, (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის მიმართ შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე: შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი ფუნქცია განისაზღვროს არაუმეტეს 95%-ით. ამასთან, სამშენებლო ობიექტი გათავისუფლდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16^1 და 16^2 მუხლებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენებისგან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე